MES 8 23 0000351838

28/03/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის" დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის კონსულტანტი,
საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორისდანდურიშვილი - სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ნატო გაბოშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის“ მასწავლებელთა დაკვირვებისა და მენტორინგის პროგრამის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი. საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცანინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს სკოლა - ლიცეუმი ლამპარი
თამარ მანძულაშვილი - სკოლის დირექტორი

შპს სკოლა ახალი თაობა
ანა უსტიაშვილი - სკოლის დირექტორი

შპს მომავლის სკოლა
გურამ იმერლიშვილი - სკოლის დირექტორი
ნინო ქორელი - სკოლის აკადემიური დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს სკოლა - ლიცეუმი ლამპარი
ნოდარ ანგურიძე
თონა ყაჭეიშვილი

შპს სკოლა ახალი თაობა

ხათუნა ბარაბაძე
ელენე კალანდაძე

შპს მომავლის სკოლა
ქეთევან ბაცანკალაშვილი
ცირა ნიკოლაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 14 მარტს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა ახალ თაობაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და თეონა ყაჭეიშვილმა.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 08 და 09 თებერვალს.

ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. მისი განცხადებით, შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარში საუკეთესო პრაქტიკად შეიძლებოდა ჩათვლილიყო სკოლის კეთილგანწყობილი კლიმატი ბავშვების, მასწავლებლების და ზოგადად სასკოლო თემის მიმართ. რაც გამოწვეული იყო სკოლის მართვისთვის დამახასიათებელი და ჩამოყალიბებული მონაწილეობითი კულტურით. კერძოდ, დაწესებულებაში ტრადიციად იყო ქცეული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მოსწავლეთა ჩართულობა. მან მოიყვანა მაგალითად, სკოლის პროექტებში და სხვადასხვა აქტივობებში სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობა არამარტო უშუალოდ განხორციელების პროცესში, არამედ დაგეგმვის ეტაპზეც. რაც შემდგომში დადებითად აისახებოდა მოსწავლეთა სწავლა-სწავლების მოტივაციაზე, სკოლაში გაკვეთილებზე დასწრების სტატისტიკაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ფორმაში მოთხოვნილი ჰქონდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 220. თუმცა, საკლასო ოთახების არსებული განაწილების პირობებში, როცა რამოდენიმე (3) კლასში, შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 10-12 მერხის განთავსება, ხოლო დანარჩენში საშუალოდ 18 მერხის, სკოლის წამომადგენლებთან შეთანხმებით, მოსწავლეთა ოპტიმალური რაოდენობა შეიძლებოდა ყოფილიყო 190.

ექსპერტის განცხადებით, წინა საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, განაცხადა, რომ სკოლაში პირველ სტანდარტთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადე წარმოადგენდა ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრულ საათობრივ ბადის მესამე მოდელს, რომელიც დაწესებულებას წარდგენილი და შეთანხმებული ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. დაწესებულება X კლასში არჩევით საგნად სთავაზობდა ხელოვნების ისტორიას; XI კლასში „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანდაცვას"; XII კლასში კომპიუტერულ მეცნიერებებს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა-ლიცეუმ ლამპარში ფუნქციონირებდა 2 კლუბი მოსწავლეებისათვის: დებატების კლუბი, სადაც საკუთარი სურვილით შეეძლოთ ჩართულიყვნენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები; კლუბი რა? სად? როდის? განკუთვნილი იყო სამი ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეებისათვის: III-IV კლასი, V-VII კლასი, VIII-XII კლასი. კლუბის საქმიანობას წარმართავდა კლუბის ხელმძღვანელი. ასევე, ექსპერტის განმარტებით, სკოლა-ლიცეუმი ლამპარი სთავაზობდა მოსწავლეებს გახანგრძლივებულ სწავლებას. სამიზნე ჯგუფი იყო I-VI კლასის მოსწავლეები, სურვილის გათვალისწინებით. მოსწავლეებს ფაკულტატური სახით უტარდებოდათ სახალისო მათემატიკა

მე-5 და მე-6 კლასებში 2-2 საათი და საყმაწვილო ლიტერატურა 1-დან -მე-4 კლასის ჩათვლით თითო საათი.
ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებდა ოთხი საგნობრივი კათედრა: 1 - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; 2 - მათემატიკის, ტექნოლოგიების, ჭადრაკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; 3 - საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და უცხო ენათა კათედრა; 4 - სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.
ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ სკოლაში შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.
ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის განცხადებით, სკოლა-ლიცეუმ ლამპარს ცალკე არ ჰქონდა შემუშავებული მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, მაგრამ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, მათი ქცევის, სკოლაში სხვადასხვა აქტივობების, სკოლის სიახლეების შესახებ მშობელთა ინფორმირებულობის რეგულაცია გაწერილი იყო სკოლის სხვადასხვა დოკუმენტაციაში.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, დაგეგმილი იყო სასწავლო პროცესის განხორციელების ყოველწლიური მონიტორინგი და შედეგების, ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების აქტივობები. ასევე, აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა „შიდა სასკოლო მონიტორინგის წესი", რომლის მიხედვით დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აგებული იყო დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე - ციკლზე.
მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი, იჯარით ფლობდა მე-2 და მე-3 სართულის 974,58 კვ.მ. ფართს შენობაში, რომელიც მდებარეობდა მისამართზე: ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა N10. საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული იყო, რომ იჯარის საბოლოო თარიღი იყო 31.12.2029. შენობის მესაკუთრე იყო შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია".
ექსპერტის განცხადებით, სკოლის მეორე სართულზე მოწყობილი იყო დიდი ზომის ოთახი (85 კვ.მ.) სპორტული დარბაზის დანიშნულებით, რომელსაც სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, სააქტო დარბაზადაც იყენებდა. დარბაზში განთავსებული იყო ორი ჩოგბურთის მაგიდა, მოწყობილი იყო შვედური კედელი და რკინის კარადებში განთავსებული იყო სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია განთავსებული ჰქონდა შენობის მესამე სართულზე. ლაბორატორია შედგებოდა ორი ოთახისგან, ერთ ოთახში, რომელიც ცალკე იკეტებოდა, ლაბორატორიული აღჭურვილობის საცავი და ნიჟარა ონკანით, მეორეგან იყო სასწავლო ფართი, სადაც ცდების სადემონსტრაციო კარადა და გამწოვი იყო დამონტაჟებული, აქვე იყო ცდების სადემონსტრაციო მაგიდა, დამცავი ზედაპირით. ორივე ოთახში იყო ბუნებრივი განიავების საშუალება.
ექსპერტის განცხადებით, სკოლის შენობის მესამე სართულზე, ორ ოთახში, განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა. ერთი ოთახი დათმობილი იყო წიგნსაცავისთვის, მეორე კი იყო სამკითხველო, ამასთან სკოლას დაწყებული ჰქონდა ელექტრონული კატალოგის შექმნა ექსელის პროგრამაში. წიგნები დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. მხოლოდ რამოდენიმე სახელმძღვანელოზე არ იყო დასრულებული საბიბლიოთეკო წესით დამუშავება, კერძოდ, წიგნში არ იდო საკატალოგო ბარათი, რის მოწესრიგებაზეც სკოლას მიეცა რჩევა. სკოლას, ასევე, ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოები.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას სართულებს შორის გადასაადგილებლად, კიბეებზე მოწყობილი ჰქონდა ასაკეცი პანდუსი. შენობის შესასვლელშიც მოწყობილი იყო პანდუსი, თუმცა იმდენად ციცაბო რომ, საეჭვო იყო პანდუსით უსაფრთხო სარგებლობა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოეწესრიგებინა შესასვლელთან მოწყობილი პანდუსი. სკოლას ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისთვის, თუმცა ვიზიტის პერიოდისთვის არ იყო დასრულებული მისი საერთო სარგებლობის ვაჟების საპირფარეშოდან გამიჯვნის

სამუშაოები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დროულად დაესრულებინა გამიჯვნითი სამუშაოები. არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას, სკოლამ განმარტა, რომ რეკომენდაცია შესრულებული იყო და გადმოაგზავნა დამადასტურებელი ფოტომასალა, მათ შორის სკოლის შესასვლელთან არსებული პანდუსის მოწყობისა.

ექსპერტ, თეონა ყაჭეიშვილის განცხადებით ადაპტირებული სველი წერტილი აკმაყოფილებდა სტანდარტით მოთხოვნილ პირობებს.

ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის განცხადებით, სკოლას ჰქონდა სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში სულ 20 კომპიუტერი იყო. კომპიუტერულ კლასში განთავსებული იყო 8 კომპიუტერი. სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებდა სკოლის ვებგვერდი რომელიც ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლა უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტით, თუმცა ინტერნეტის სიჩქარე მეტად დაბალი იყო ვიზიტის პერიოდში და სკოლას ექსპერტთა მხიდან მიეცა რჩევა უზრუნველეყო ინტერნეტსიჩქარის გაზრდის მომატება პროვაიდერისგან, რადგან ასეთი სიჩქარის ინტერნეტის გამოყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის შეუძლებელი იქნებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საევაკუაციო გეგმების მიხედვით განსაზღვრულ ადგილებში განთავსებული იყო ცეცხლმაქრები, კიბის უჯრედში მოწყობილი იყო სახანძრო ინვენტარების დაფა, თუმცა მეტი უსაფრთხოებისთვის სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ინვენტარის იმგვარად განთავსება, რომ მოსწავლეთათვის ნაკლებ ხელმისაწვდომი ყოფილიყო. სკოლას შემუშავებული ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმები.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მეორე სართულზე მოწყობილი იყო სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავდა ექიმი და ექთანი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ექიმი სპეციალობა იყო ზოგადი პროფილის თერაპევტი, რომელიც არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით მოთხოვნილ სპეციალობას, რომლის მიხედვით, სკოლის ექიმის სპეციალობა უნდა ყოფილიყო პედიატრია, საოჯახო მედიცინა ან ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრია, თუმცა სკოლას პარალელურად გამოქვეყნებული ჰქონდა ვაკანსია სკოლის ექიმის თანამდებობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას, ვებ გვერდზე გამოქვეყნებული სასკოლო დოკუმენტაციის მიხედვით, გაცხადებული ჰქონდა, რომ მობილობის პროცესში საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში სკოლა ითხოვდა სხვადასხვა დოკუმენტაციას და მათ შორის მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. იგი დაინტერესდა თუ რატომ ითხოვდა სკოლა სხვა სკოლის მიერ შემუშავებულ ინდივიდუალურ გეგმას. მან მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით, სტანდარტი იყო დარღვეული ამ ნაწილში.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სკოლა არ ითხოვდა აღნიშნულ გეგმას და ის თავად შეიმუშავებდა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის, თუ აღნიშნული მოსწავლე ეყოლებოდა სკოლას, რომელიც იმ მომენტისთვის დაწესებულებაში არ ირიცხებოდა. აღნიშნული მუხლი დოკუმენტში იყო ტექნიკური ხარვეზი.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გაცხადებულ ინფორმაციასა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ჭადრაკი მიკუთვნებული იყო სხვა და სხვა კათედრას. იგი დაინტერესდა თუ რომელ დოკუმენტში იყო მითითებული სწორად და რომელი დოკუმენტის შესწორებას აპირებდა სკოლა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიოლოგიის მასწავლებელმა გასულ ზაფხულს გაიარა ჭადრაკის კურსი და სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ამ კათედრაზე იყო ჭადრაკის საგანი და თუ ხარვეზი იყო რომელიმე დოკუმენტში სკოლა შეასწორებდა ამას.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, ასევე დაინტერესდა, ეკუთვნოდა თუ არა სკოლას პირველი სართულის ის ოთახი, რომელიც მდებარეობდა სკოლაში შესასვლელი პანდუსის მიმდებარედ. მან აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ ფოტო მასალაში იკვეთებოდა, რომ პანდუსთან მიმდებარე ფანჯრის მინები იყო ჩამტვრეული და შესაძლოა საფრთხის შემცველი ყოფილიყო ამ ტერიტორიაზე გადაადგილებისას.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შენობის პირველი სართულის ფართი სკოლას არ ეკუთვნოდა.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ ფოტო მასალაზე დაყრდნობით, სველ წერტილებში არ ჩანდა ჰიგიენური ინვენტარი (თხევადი საპონი, ხელსახოცი და სხვ.).

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნულის პასუხად, განაცხადა, რომ ჰიგიენური ნორმები სკოლას დაცული ჰქონდა.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, ასევე დაინტერესდა, რომ სკოლას ერთ-ერთ დიდ შესვენებად გამოყოფილი ჰქონდა 20 წუთიანი შესვენება და იყო თუ არა სკოლაში კვება.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვება სკოლაში არ იყო, თუმცა აღნიშნული შესვენების პერიოდში მოსწავლეები იკვებებოდნენ სახლიდან კონტეინერების საშუალებით წამოღებული საკვებით.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, თუ რას აპირებდა სკოლა ცეცხლმაქრებისა და სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარის უსაფრთხოდ განთავსების თაობაზე, რადგან მათ შეიძლება გამოეწვია უსაფრთხოების ნორმების დარღვევა და მიუთითა სკოლას, რომ აღნიშნული ინვენტარი განეთავსებინა უსაფრთხოდ.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინვენტარის ამგვარი განთავსება მოსწავლეებს საფრთხეს არ უქმნიდა.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, დაინტერესდა თუ როგორ იძლეოდა კედელთან მიდგმული ამწოვი კარადა ორმხრივი მუშაობის შესაძლებლობას.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამწოვი კარადა იმ მომენტისთვის არ იყო სრულად აღჭურვილი და არ იძლეოდა ორმხრივი მუშაობის საშუალებას.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, ასევე დაინტერესდა თუ როგორ შეეძლოთ მოსწავლეებს იმ ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობდა, უზრუნველყოფდა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების დაკმაყოფილებას, შედეგებზე გასვლას მაშინ, როდესაც ლაბორატორია და კარადა არ იყო აღჭურვილი შესაბამისად.

დაწესებულების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხს სკოლა მოაგვარებდა უახლოეს პერიოდში.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას სვოტ ანალიზში ძლიერ მხარედ გამოკვეთილი ჰქონდა სტაბილური ფინანსური რესურსი, სკოლის ინფრასტრუქტურა, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. ხოლო ექვსწლიან სასწავლო გეგმაში სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება მხოლოდ 2022-2023 სასწავლო წლისთვის იყო გათვლილი. ხოლო დანარჩენ წლებში აღნიშნული გაწერილი არ იყო. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ სკოლას მიმდინარე ავტორიზაციის პროცესისთვის ჰქონდა სწორედ გაწერილი აღნიშნული. ასევე, მან აღნიშნა, რომ სკოლა, წარმოდგენილი ინფრასტრუქტურითა და ინვენტარი ნაკლებად იძლეოდა სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის შესაძლებლობას და აკმაყოფილებდა მხოლოდ სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა აპირებდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას სამომავლოდ.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა თუ რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა იმ ეტაპისთვის სკოლაში.
დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სკოლაში ირიცხებოდა 140 მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 190 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარისავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 190 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მეორე და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარს(ს/კ: 208148930) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 190 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ, მოქმედი ოთხი სტანდარტის მიხედვით.

2. შპს სკოლა ახალ თაობაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექპერტებმა: ხათუნა ბარაბაძემ და ელენე კალანდაძემ.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე 2023 წლის 26 იანვარს. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-7 მუხლის „ვ.დ" და „ზ", მე-8 მუხლის „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმება.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების მისიის თაობაზე, რადგან ვიზიტის მიზანი უკავშირდებოდა მის შინაარსს. მან აღნიშნა, რომ სკოლას დამტკიცებული და შეთანხმებული ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, თუმცა, წესის თანახმად არ ხორციელდებოდა მედიაცია მოსწავლეთა შორის კონფლიქტების შემთხვევებში. ასევე სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი - „უსაფრთხოების მანდატური" არ იცნობდა საკუთარ მოვალეობებს, რაც წარმოადგენდა დაწესებულების მისიასთან შეუსაბამობას და აღნიშნული წესის 31-ე მუხლის დარღვევის საფუძველს. სკოლას არ ჰქონდა გაწერილი კონფლიქტური შემთხვევების მოკვლევის პროცედურები. ექსპერტის განმარტებით, პასუხისმგებელი პირი მოსწავლეთა შორის არსებული კონფლიქტების დროს მედიაციას ახორციელებდა ეგრეთ წოდებული „მეგობრული საუბრებით" და დამრიგებლის ჩარევით.

ექსპერტმა ისაუბრა უსაფრთხოების მანდატურის ინტერვიურების შედეგად გამოკვეთილ მიგნებებზე. მან აღნიშნა, რომ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არ იყო ინფორმირებული სკოლაში მიმდინარე პერიოდში მოსწავლეებს შორის არსებული კონფლიქტების თაობაზე. ხოლო კლასის დამრიგებლის განმარტებით, კონფლიქტები დაწესებულებაში დაიწყო 2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისიდან ახალ მოსწავლეებს შორის და მიიღო სისტემატიური ხასიათი. ექსპერტმა განმარტა, რომ უსაფრთხოების მანდატურთან საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ აღნიშნული პირი არ იცნობდა საკუთარ მოვალეობებს. სკოლა არ ახორციელებდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და წესით დადგენილ ნორმებს.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაციები და არგუმენტირებულ პოზიციაში წარუდგინა მათ ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ გააცნო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი უსაფრთხოების მანდატურს. ასევე, შეიმუშავა და ყველა თანამშრომელს გააცნო მოსწავლეთა ადაპტაციის და მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი. ექსპერტის განმარტებით, სკოლის ფსიქოლოგმა ჩაატარა შეხვედრების ციკლი მოსწავლეთა უფლებების, ბულინგის პრევენციის, რეფერირების პროცედურების საკითხებზე. ამასთან, ექსპერტის განმარტებით, სკოლამ გამოთქვა მზაობა კონფლიქტური სიტუაციების ეფექტიანად და მედიაციის პრაქტიკის გათვალისწინებით გადაჭრის თაობაზე, ასევე სკოლის მზადყოფნაზე ფსიქოლოგის ჩართულობასთან დაკავშირებით დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებში.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ გაკვეთილების დასაწყისში სკოლაში არ ხორციელდებოდა მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა და ინფორმაციის მშობლებისათვის დროულად მიწოდება. აღნიშნულის თაობაზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლით რათა მასწავლებლებმა უზრუნველეყოთ მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა გაკვეთილების დასაწყისში, ასევე დაწესებულებას სისტემატიურად ეწარმოებინა ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგი.

ექსპერტის განმარტებით, სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და მასწავლებლების მიმართ გამოიყენა შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომების სახდელი „გაფრთხილების" სახით.

ექსპერტმა ისაუბრა, რომ დაწესებულების შინაგანაწესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით სკოლაში მიმდინარე სააღმზრდელო-სასწავლო, ასევე დირექციისა და მასწავლებელთა მუშაობის გამჭვირვალობის მიზნით, მშობლისა და დირექციის თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მშობლის ჩართულობა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში. აღნიშნულის თაობაზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია ეხელმძღვანელა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესით, რათა უზრუნველეყო მოსწავლის პირადი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა მესამე პირთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში შეცვალა ჩანაწერი შინაგანაწესში.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების შინაგანაწესის მე-5 მუხლით განსაზღვრული ჟურნალის წარმოების წესთან დაკავშირებით გამოკვეთილი უზუსტობების შესახებ, კერძოდ, მატერიალური ჟურნალის წარმოების პროცედურებთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეცვალა შინაგანაწესის შესაბამისი მუხლი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას და მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა, რომ დაწესებულების მხრიდან არ იყო გათვალისწინებული მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა შვილის პერსონალური მონაცემების გამოყენება/ დამუშავება/გავრცელებასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ რეკომენდაციის თანახმად დაამატა შესაბამისი მუხლი და დაიწყო ხელშეკრულებების განახლების პროცესი.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლას და მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მე-7 მუხლში არსებული ჩანაწერის შესახებ, რომლის თანახმადაც დაწესებულება უფლებამოსილი იყო მოსწავლის მიერ ქცევის კოდექსის უხეშად დარღვევის შემთხვევაში ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება, რაც, ექსპერტის განმარტებით, ეწინააღმდეგებოდა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 11^1 პუნქტს. რომლის მიხედვითაც დაუშვებელი იყო მოსწავლის დაწყებითი და საბაზო საფეხურიდან გარიცხვა. ექსპერტის განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული ჩანაწერის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.

ექსპერტმა ისაუბრა მესამე სტანდარტის მეექვსე ქვესტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულებაში გამოკვეთილი შეუსაბამობების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ სკოლაში არსებული პრაქტიკით, მოსწავლეთა ქცევის შეფასების მიმართ არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული მიდგომები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შინაგანაწესის მიხედვით განხორციელებულიყო დისციპლინური გადაცდომების შესწავლა და მოეხდინა შესაბამისი რეაგირება. ექსპერტმა აღწერა კონფლიქტების შემთხვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-5 კლასში მოსწავლე დ.კ.-ს და თანაკლასელებს შორის სასწავლო წლის დაწყებიდან, ექსპერტის განცხადებით, კლასის დამრიგებელი თ.ბ.-სთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელი ცდილობდა თავად მოეგვარებინა აღნიშნული პრობლემა, ესაუბრებოდა ბავშვებს, იწვევდა მშობელთა კრებებს. ექსპერტის განმარტებით, მასწავლებელმა თ.ბ.-მ მხოლოდ ნოემბრის თვეში მიმართა ადმინისტრაციას მოხსენებითი ბარათით კლასში არსებული ქცევითი დარღვევების თაობაზე, სადაც არ იყო მოხსენიებული კონკრეტული მოსწავლის ვინაობა. ექსპერტის განმარტებით, დირექტორთან გასაუბრების შედეგად გაირკვა,

რომ იმავე დღეს დირექტრს გამოცემული ჰქონდა ბრძანება „მოსწავლის ქცევის მართვის" თაობაზე მოსწავლე დ.კ.-ს მიმართ მასწავლებლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ ბარათში პერსონალურად დ.კ. არ ფიგურირებდა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დირექტორის ინტერვიურების შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებელთან ზეპირი კომუნიკაციის შემდეგ სკოლის ხელმძღვანელმა მოსწავლის ქცევის შესახებ შეატყობინა მშობელს, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა სკოლის შეთავაზებაზე-პროცესში ჩართულიყო ფსიქოლოგი. ექსპერტის განმარტებით, მშობელმა დაადასტურა კონკრეტული ფაქტი, ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ მშობელმა ისაუბრა დაწესებულების დამლაგებლის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის ინციდენტზე მოსწავლის მიმართ, რის შესახებაც აცნობა სკოლის ადმინისტრაციას, მაგრამ ფაქტს დაწესებულების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის დამლაგებელთან შემთხვევის შესწავლა ვერ მოხერხდა, რადგან ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას შეწყვეტილი ჰქონდა მასთან შრომითი ურთიერთობა, ხოლო სკოლის ხელმძღვანელმა, უსაფრთხოების მანდატურმა და თანამშრომლებმა არ დაადასტურეს აღნიშნული ინციდენტის არსებობა.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, ისაუბრა ვიზიტის პერიოდში განხორციელებული მოკვლევის შედეგებზე, რომლის მიზანიც იყო დაწესებულებაში მზრუნველი და კეთილგანწყობილი გარემოს შემოწმება. მან აღნიშნა, რომ სკოლის eschool-ის ბაზაში ირიცხებოდა 2 სსსმ მოსწავლე. ექსპერტის განაცხადებით, საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სპეცმასწავლებელი მუშაობდა ერთ მოსწავლესთან, ვინაიდან მეორეს (მე-3 კლასელი დ.ფ.) არსებობის შესახებ სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეიტყო, მიუხედავად იმისა, რომ eschool-ის ბაზაში მოსწავლის სტატუსი დაფიქსირებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შესაბამის დასკვნასთან ერთად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების საქმისმწარმოებელმა ახსნა-განმარტებითი ბარათის საშუალებით დაადასტურა, რომ მოსწავლე დ.ფ.-ს პირად საქმეში არ ფიქსირდებოდა სტატუსი და შესაბამისი დასკვნა, ხოლო ელექტრონულ ბაზაში მისი გადამოწმება არ მომხდარა. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული არ ათავისუფლებდა სკოლას პასუხისმგებლობისაგან. მან ისაუბრა მშობლის ინტერვიურების შედეგებზე, კერძოდ, მისი განმარტებით, მშობელს თავად არ შეუტყობინებია დაწესებულებისთვის შვილის სტატუსის შესახებ, რადგან სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ასისტენტის მომსახურების საფასურის გადახდას სკოლა არ უზრუნველყოფდა. ხათუნა ბარაბაძის თქმით, დაწესებულების ადმინისტრაციამ ექსპერტებს განუცხადა, რომ მოსწავლე დ.ფ სპეციალურ მიდგომებს არ საჭიროებდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით დაგეგმილიყო სასწავლო პროცესი. ამ მიზნით ექსპერტებმა ურჩიეს დაწესებულებას განხორციელებულიყო მოსწავლის ხელახალი შეფასება და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დაცვა. მისი განმარტებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაციები და წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველა საგანში.

ექსპერტის განცხადებით, მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის დადასტურების მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის ნოემბერში რეგისტრირებული ბრძანებები დისციპლინური წარმოებების შესახებ, ასევე მშობელთა ნებართვები მოსწავლეებისათვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის თაობაზე.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. მისი განცხადებით, შპს სკოლა ახალი თაობა იყო TOEFEL-ის საგამოცდო ცენტრი, დაწესებულებას მიენიჭა TOEFEL-ის ავტორიზებული საგამოცდო ცენტრის სტატუსი, სკოლას ჰქონდა ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებული პროგრამა და შეესაბამებოდა სტანდარტს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში იყო კეთილგანწყობილი გარემო. ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა სასწავლო პროცესის ეფექტიანად და პოზიტიურად წარმართვას. სკოლას ჰქონდა გამართული ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია.

ექსპერტის აზრით, სკოლა ზრუნავდა მოსწავლეთათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.
ექსპერტმა მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები მის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ დასვა შეკითხვა, გამოსწორდა თუ არა დაწესებულებაში შეუსაბამობებთან დაკავშირებით რაიმე, რადგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე თუ ხარვეზი არ იქნებოდა გამოსწორებული, ძნელი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება სკოლის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების შეწყვეტის თაობაზე.
ექსპერტმა ხათუნა ბარაბაძემ უპასუხა, რომ სკოლამ შექმნა მედიაციისა და ადაპტაციის წესი, თუმცა მის განხორციელებაზე დაკვირვება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ პროცესში, ექსპერტის აზრით, სკოლა ნდობას იმსახურებდა, რადგან შეუსაბამობები ძირითადად განპირობებული იყო დაწესებულების მხრიდან ინფორმაციის არცოდნით და არა მიზანმიმართული ქმედებებით. საბჭოს წევრმა მანანა ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ დაუშვებელი იყო აღნიშნულის არცოდნა. ასევე, საბჭოს წევრი თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა გამოასწორა სკოლამ ხარვეზებთან მიმართებით.
ექსპერტმა ხელმეორედ ჩამოთვალა დაწესებულების რეაგირების შედეგები სსსმ მოსწავლესთან (დ.ფ.) დაკავშირებით: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნისა და სპეცმასწავლებლის დამატების თაობაზე, დისციპლინური გადაცდომების წარმოებების წარმოდგენის, შინაგანაწესსა და ხელშეკრულებებში ხარვეზების გამოსწორების, ფსიქოლოგის მხრიდან ტრენინგების ციკლის დაგეგმვის თაობაზე. მისი აზრით, ექსპერტთა ვიზიტის შედეგად სკოლის მიერ განხორციელებული პროცესები აძლევდა მას იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლა ცდილობდა შეუსაბამობების გამოსწორებას. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ მას.
საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ მიმართა საბჭოს თავჯდომარეს შეკითხვით: რადგან არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მექანიზმი გაწერილი იყო კანონის შესაბამისად, საჯარო ან კერძო ორგანიზაცია ვალდებული იყო გადაწყვეტილებები მიეღო მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნულის გათვალისწინებით, იგი დაინტერესდა როგორი იყო დაწესებულების პოზიცია, როგორ იყო დაცული კონკრეტული მოსწავლის საუკეთესო ინტერესი, რომლის გაუთვალისწინებლობაც გახდა შემდგომში მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი.
სკოლის ხელმძღვანელმა, ანა უსტიაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა და რეაგირება მოახდინა ყველა რეკომენდაციაზე. მან განაცხადა, რომ კლასის დამრიგებელი ცდილობდა თავად შეესრულებინა მედიატორის ფუნქცია. დაწესებულების დირექტორის აზრით, მასწავლებლის მხრიდან ადმინისტრაციის დროული ინფორმირების შემთხვევაში განხორციელდებოდა მყისიერი და კანონის შესაბამისი რეაგირება. სკოლის ხელმძღვანელის განმარტებით, მომავალში დაწესებულება შეეცდებოდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული შემთხვევების გამოცდილება და საჭიროებისამებრ იმოქმედებდა დროულად.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა აღნიშნა, რომ სკოლისთვის აღნიშნული გადაცდომის ფაქტი გამოცდილებას წარმოადგენდა მომავალი შემთხვევების პრევენციისთვის.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტს, ხათუნა ბარაბაძეს, იყო თუ არა სისტემური პრობლემა სკოლაში არსებული გადაცდომების მიზეზი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებები, მათ შორის, კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნა, კვალიფიციური ფსიქოლოგის ჩართულობა, ტრენინგების ციკლის დაგეგმვა მიუთითებდა, რომ დაწესებულება ცდილობდა შეუსაბამობების აღმოფხვრას, ხოლო ჩატარებული ღონისძიებების შედეგები მხოლოდ პროცესში შეიძლებოდა გამოკვეთილიყო.
ექსპერტს დაეთანხმა საბჭოს თავჯდომარე და აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო წინასწარ იმის დადასტურება, რომ მსგავსი შემთხვევები სკოლაში აღარ განმეორდებოდა, თუმცა, ვიზიტის შემდეგ სკოლის რეაგირება შეუსაბამობებზე გარკვეულ პოზიტიურ მოლოდინს ქმნიდა.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ აღნიშნა, რომ მას ჰქონდა შეკითხვა სკოლაში არსებულ განწყობასთან, კლიმატთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა ხათუნა ბარაბაძემ უპასუხა, რომ დაწესებულება ცდილობდა ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი შეუსაბამობების გამოსწორებას, რაც აისახა სკოლის არგუმენტირებულ პოზიციაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ახალი თაობის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა ახალი თაობის (ს/კ 406242123) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა[1]

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილი და ცირა ნიკოლაშვილმა.

ექსპერტ, ქეთევან ბაცანკალაშვილის განცხადებით, 2022 წლის 03 ნოემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შევიდა კორესპონდენცია, რომელშიც შპს მომავლის სკოლის ყოფილი მოსწავლის მშობელი მიმართავდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თხოვნით დაწყებულიყო მოკვლევა აღნიშნული სკოლის მხრიდან ბავშვის ფუნდამენტური უფლების დარღვევასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, განაცხადა, რომ მშობლის მიერ დასახელებული გარემოებების მოსაკვლევად, დღის წესრიგში დადგა შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმება, რა მიზნითაც ცენტრის ბრძანებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლით, მე-7 მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებითა და მე-8 მუხლით განსაზღვრული სტანდარტების კომპონენტების შესრულების შემოწმება.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა 2023 წლის 16-17 იანვარს. ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის ფარგლებში, შეისწავლა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები, დაწესებულებაში

---

[1] შენიშვნა: 2023 წლის 18 აგვისტოს N1012535 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის პირველი ნაწილის მიხედვით (https://eqe.ge/media/23353/1012535-okmi.pdf), ცვლილება შევიდა 2023 წლის 28 მარტის N351838 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში.

არსებული დოკუმენტაცია, აწარმოეს გასაუბრებები სასკოლო საზოგადოების არაერთ წარმომადგენელთან, მათ შორის მშობლებთან და გამოიკვლიეს მოსწავლეთა მოძრაობა დაწესებულების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში Eschool-ში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ 2022 წლის 24 აგვისტოს აღნიშნულ დაწესებულებას მიენიჭა ავტორიზაცია. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ხარვეზი არ იყო გამოვლენილი, გაცემული იყო მხოლოდ რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც სკოლას შესრულებული ჰქონდა.

საბჭოს სხდომაზე ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებდა ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს სამივე საფეხურზე, რომლებიც გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნიშანდობლივი ნაწილი იყო ამერიკული პროგრამის საგნების დამატებითი სავალდებულო მომსახურების სტატუსით გათვალისწინება I-IX კლასის მოსწავლეთათვის, ხოლო დამატებითი ფაკულტატური მომსახურების სტატუსით X-XII კლასის მოსწავლეთათვის. ამავე დროს, ამერიკული პროგრამის სრული კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მოსწავლე სრული ზოგადი განათლების ატესტატთან ერთად იღებდა ამერიკული სკოლის დიპლომს. სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 145 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 78 მოსწავლე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული სწავლების ფორმატი ავტორიზებულ პროგრამაზე, სკოლას შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ბოლო შეთანხმება განხორციელდა 2022 წლის იანვარში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ გასცეს რეკომენდაცია განეახლებინათ საათობრივი ბადე, რათა უკეთ გამოჩენილიყო ამერიკული პროგრამის საგნების დატვირთვა. ექსპერტმა დამატებით აღინიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან არგუმენტირებულ პოზიციაში, ხარვეზი გამოსწორებული იყო.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში მონიტორინგის ბრძანების თანახმად, მათ არ ჰქონდათ აღნიშნულის შემოწმების დავალება, ადგილზე დაკვირვებით დადგინდა, რომ დაწესებულების კიბის I და II სართულის უჯრედი, ასევე, შემოსასვლელის შიდა ფოიე არ კონტროლდებოდა ვიდეო-კამერებით. დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია აღნიშნული სივრცის ვიდეო-კამერებით გაკონტროლებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქმისწარმოების ამერიკული პროგრამის საქმისწარმოებისგან გამიჯვნის შესახებ, რომელიც სკოლამ გაითვალისწინა. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია, EMIS-ის ბაზაში I-IX კლასებში დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურების პედაგოგთა ინფორმაციის ასახვის შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ცალკე სექტორის სახით ახორციელებდა ამერიკულ პროგრამას, რომელზეც ირიცხებოდა 73 მოსწავლე, აქედან 8 მოსწავლე სარგებლობდა დისტანციური სწავლების ფორმატით, ისინი არ გადიოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამას და შესაბამისად არ იღებდნენ

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. აღნიშნული მოსწავლეები არ ფიქსირდებოდნენ სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool ბაზაში. მოსწავლეთა მცირედი ნაწილი საქართველოს, ხოლო უმეტესი ნაწილი საზღვარგარეთის მოქალაქე იყო, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამერიკული პროგრამის მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდათ წინასწარი განმარტება და მზაობა იმის შესახებ, რომ აღნიშნული მოსწავლეები ვერ მიიღებდნენ ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ ატესტატს ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს. სკოლის განმარტებით, ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები თანხმობას აცხადებდნენ, მათ შვილებს მიეღოთ მხოლოდ ამერიკული პროგრამის დიპლომი, თუმცა ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული პირობა არ იყო ასახული მშობლებსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ექსპერტის განმარტებით, შპს მომავლის სკოლის მიერ ამერიკული პროგრამის ცალკე სექტორის სახით განხორციელება შეუსაბამო იყო საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში დასაშვები იყო მხოლოდ იმ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლის აღიარებისთვისაც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ინსტიტუტთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. ექსპერტის განცხადებით, ამერიკული პროგრამის ,,ACE SCHOOL OF TOMORROW”-ს აღიარების თაობაზე ცენტრსა და უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ინსტიტუტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების არსებობა არ დასტურდებოდა.

ექსპერტმა, განაცხადა, რომ დაწესებულების ავტორიზებული პროგრამების მოსწავლეები დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში ინგლისურენოვან საგნებს ესწრებოდნენ ამერიკულ პროგრამაზე რეგისტრირებულ მოსწავლეებთან ერთად. როგორც აღინიშნა, ამერიკული პროგრამის მოსწავლეები არ იყვნენ დარეგისტრირებულნი სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო ESchool ბაზაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა აღნიშნული მოსწავლე ირიცხებოდა თუ არა სკოლის ავტორიზებულ პროგრამებზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ 2016 წლის 10 ოქტომბრიდან მოსწავლე აღარ ირიცხებოდა დაწესებულების ავტორიზებულ პროგრამაზე. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც აღნიშნულმა სკოლამ ავტორიზაცია გაიარა, ამერიკული პროგრამა წარმოდგენილი იყო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც იყვნენ ჩარიცხულები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებულ სკოლაში. ამერიკულ პროგრამასთან მიმართებით, ის დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ცალკე სექტორი. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, მათ ამერიკული სექტორი უცხოელებისთვის ცალკე ჰქონდათ.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა იმ გარემოებით, რომ ავტორიზებული სკოლა ახორციელებდა საქმიანობას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მოითხოვდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებას პროგრამის აღიარების თაობაზე.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წარმოდგენილი პროგრამა არ იყო აღიარებული. საბჭოს წევრი, თამარ მამსკიკაშვილი დაინტერესდა, სავალდებულო იყო თუ ნებაყოფლობითი ამერიკული პროგრამა კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზებულ სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ ამერიკული პროგრამა 1-9 კლასამდე იყო სავალდებულო, ხოლო 10-12 კლასებში არჩევითი, თუმცა, ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ მოსწავლეების უმრავლესობა ირჩევდა ამერიკულ პროგრამას, რათა მიეღოთ ამერიკული დიპლომი, აქედან გამომდინარე, ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობდნენ ავტორიზებულ და ასევე არაავტორიზებულ პროგრამაზე, ერთად გადიოდნენ ამერიკული პროგრამის საგნებს.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის მიზანი იყო, შეეფასებინათ დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების შესრულება და მშობლის განცხადებაში დაფიქსირებულ დარღვევებისთვის გაეცათ პასუხები. ასევე აღნიშნა, შპს მომავლის სკოლა, რომელიც ავტორიზებული დაწესებულება იყო, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, ერთ შენობაში ახორციელებდა ამერიკულ პროგრამას უცხოენოვანი მოსწავლეებისთვის. ამერიკულ პროგრამაზე რეგისტრირებული მოსწავლეები ერთად გადიოდნენ საგნებს ქართულენოვან ავტორიზებულ პროგრამებზე ჩარიცხულ მოსწავლეებთან ერთად. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში იყო ასევე რამდენიმე ქართველი მოსწავლე, რომლებიც სხვა სკოლაში იღებდნენ ზოგად განათლებას, ხოლო შპს მომავლის სკოლაში დადიოდნენ ამერიკული პროგრამის შესასწავლად.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა იყვნენ თუ არა EMIS-ის ბაზაში დარეგისტრირებულები უცხო ქვეყნის მოსწავლეები, რომლებიც ამერიკულ პროგრამაზე სწავლობდნენ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უცხო ქვეყნის მოსწავლეები, რომლებიც ამერიკულ პროგრამაზე სწავლობდნენ არ ირიცხებოდნენ EMIS-ის ბაზაში.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა თუ აღნიშნული მოსწავლე არ ირიცხებოდა EMIS-ის ბაზაში, აღნიშნულ შემთხვევაში თუ რატომ გახდა საკითხი მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და საბჭოს განხილვის საგანი. მან მიმართა სკოლას ახორციელებდა თუ არა დაწესებულება აღნიშნულ ამერიკულ პროგრამას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით თუ ცალკე სექტორის სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში ამერიკული პროგრამა ხორციელდებოდა ცალკე სექტორის სახით.

საბჭოს წევრი, გიორგი გიგიბერია დაინტერესდა, თუ რატომ განიხილებოდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურება (წრე), არაავტორიზებულ ამერიკულ საგანმანთლებლო პროგრამად.

ექსპერტმა, განაცხადა, რომ ეს არ იყო წრე, ამერიკული პროგრამა იყო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც გასცემდა ამერიკული სკოლის დიპლომს, რომლითაც მოსწავლეები საზღვარგარეთ, აბარებდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებში. აქვე, ექსპერტმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოში დასაშვები იყო მხოლოდ იმ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლის აღიარებისთვისაც სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ინსტიტუტთან ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება."

ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, თამარ შენგელიამ პოზიციის დაფიქსირების უფლება ითხოვა საბჭოსგან და აღნიშნა, რომ სკოლაში მონიტორინგის განხორციელების საფუძველი გახდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული საჩივარი, რომელიც შეეხებოდა ავტორიზაციის სტანდარტების და მოსწავლის უფლებების სავარაუდო დარღვევის გარემოებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის გაუქმებას თან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მომავლის სკოლის (ს/კ: 211356272) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:25 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა